# თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის სტიპენდიის პირობები

## I. ძირითადი ინფორმაცია:

ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში თურქეთის მთავრობის მიერ ქვემოთ მოცემული პირობებით გაიცემა **ბაკალავრის, დიპლომშემდგომი სწავლების, (მაგისტრატურა/დოქტორანტურის), მაძიებლისა და თურქული ენის საზაფხულო** სტიპენდიები.

1. სტიპენდიაზე განაცხადი უნდა გაკეთდეს დიპლომატიური არხებით. სტიპენდიის კანდიდატმა უნდა მიმართოს თავისი ქვეყნის შესაბამის უწყებას ან თურქეთის რესპუბლიკის საგარეო წარმომადგენლობას.

2. კანდიდატთა შერჩევა მოხდება შესაბამისი ქვეყნის მიერ ან თურქეთის რესპუბლიკის საგარეო წარმომადგენლობებში. კომისიამ უნდა განსაზღვროს ყოველი ხუთი სტიპენდიისათვის ერთი, ექვსი ან უფრო მეტი სტიპენდიისათვის კი ორი სათადარიგო კანდიდატი.

3. დოკუმენტების შერჩევა მოხდება თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული განათლების სამინისტროს მიერ და სტიპენდიანტებისათვის მოწვევა გაიგზავნება დიპლომატიური არხებით.

4. **ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის** სტიპენდიის კანდიდატებმა უნდა აიღონ **„სასწავლო“** ვიზა, **მაძიებლის** სტიპენდიის კანდიდატებმა **„მაძიებლის“** ვიზა, ხოლო ორთვიანი **თურქული ენის საზაფხულო კურსების** კანდიდატებს საშუალება ეძლევათ თომერში ისწავლონ **„ტურისტული“** ვიზით.

5. სტიპენდიის კანდიდატები მითითებულ მისამართზე უნდა მივიდნენ საკუთარი სახსრებით. თან უნდა იქონიონ დასტურის წერილები და დიპლომის ორგინალები. ყველა საჭირო ინფორმაცია მოცემულია დასტურის წერილში.

6. თურქეთში ჩამოსულმა მოსწავლემ საჭიროა, რომ გაიაროს რეგისტრაცია შესაბამის სასწვლებელში და გააკეთოს მიმართვა სტიპენდიისათვის. სასწავლებელში რეგისტრაციისა და სტიპენდიის ცნობით უნდა გაკეთდეს მიმართვა „საერთო საცხოვრებლისა“ და „დროებითი ბინადრობისათვის“.

7. „დროებითი ბინადრობა“ უნდა გაგრძელდეს ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე. ვადის გაგრძელების პასუხისმგებლობა ეკისრება მოსწავლეს.

8. ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა ერთი წელი თურქული ენა უნდა შეისწავლონ "TOMER"-ში. უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა "TOMER"-ში მიიღონ მაღალი შეფასების დიპლომი. .

9. არჩევანის გაკეთებამდე მოსწავლეები უნდა გაეცნონ უნივერსიტეტების მიღება-რეგისტრაციის პირობებს. ზოგიერთ უნივერსიტეტს აქვს ერთწლიანი მოსამზადებელის გავლისა და მისაღები გამოცდის ჩაბარების მოთხოვნა. უნივერსიტეტში მიღების პროცედურების დამთავრების შემდეგ, არ განიხილება ცვლილებებთან დაკავშირებული რაიმე სახის თხოვნა.

10. არ მიიღება „სამედიცინო ორდინატურის“ კანდიდატები. კანდიდატებს შეუძლიათ თავიანთი შესაძლებლობებით ჩააბარონ სამედიცინო ორდინატურის გამოცდა „TUS“-ი.

11. მაძიებლობა ითვალისწინებს უნივერსიტეტებში თავიანთ სფეროში სამეცნიერო საქმიანობის წარმოებას. ვადა 2-8 თვეა.

12. თურქული ენის საზაფხულო კურსები ტარდება სტამბოლში, ანკარაში, იზმირში, ბურსაში, ტრაპიზონში, ანტალიასა და სამსუნში. კანდიდატებს შეუძლიათ შეარჩიონ აქედან სამი ქალაქი. იმ ცენტრში, სადაც მსურველთა სათანადო რაოდენობა არ შეიკრიბება, კურსები არ ჩატარდება. კურსები მიმდინარეობს 1 ივლისიდან - 31 აგვისტოს ჩათვლით.

13. ყოველთვიურ სტიპენდიასთან ერთად ჩვენი მთავრობა ანაზღაურებს სწავლების ხარჯს, საერთო საცხოვრებლის გადასახადს და მკურნალობის ხარჯს (ქრონიკული დაავადებების, მნიშვნელოვანი გეგმიური ოპერაციების, პროტეზის, ყბის ორთოპედიის, ორთოდონტიისა და კბილის პროტეზირების გარდა).

14. სასწავლო წელი იწყება სექტემბრში. TOMER–ში თურქულის შესასწავლად მოწვეულმა სტიპენდიის კანდიდატებმა საჭიროა რეგისტრაცია გაიარონ არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა. ბაკალავრიატის, დიპლომშემდგომი განათლების (მაგისტრატურა/დოქტორანტურა) და მაძიებლის სტიპენდიის კანდიდატებმა უნივერსიტეტში რეგისტრაცია უნდა გაიარონ და მიმართონ სტიპენდიისათვის არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა.

15. ბაკალავრიატის სტუდენტს, რომელიც დროულად ვერ დაამთავრებს სასწავლო წელს (მოსამზადებლის გარდა), ეძლევა დამატებითი ვადა 2 წელი. ამ პერიოდის განმავლობაში კვლავ წარუმატებლობის შემთხვევაში კი შეუწყდება სტიპენდია.

16. სტიპენდიანტი უნდა ემორჩილებოდეს სასწავლო დაწესებულებისა და საერთო საცხოვრებლის პირობებსა და ასევე ამ მოცემულ პუნქტებს.

## II. სტიპენდიის კანდიდატებს მოეთხოვებათ:

1. არ უნდა ჰქონდეს თურქეთის ან ორმაგი მოქალაქეობა (თურქეთის და სხვა ქვეყნის მოქალაქე)

2. ბაკალავრიატის სტიპენდიის კანდიდატებს თურქეთის ლიცეუმის დონის სასწავლებელი დამთავრებული უნდა ჰქონდეს კარგი მოსწრებით. სწავლების დასრულებიდან არ უნდა იყოს გასული ორ წელზე მეტი და განაცხადის გაკეთებისას არ უნდა იყოს 25 წელზე მეტი ასაკის;

3. დიპლომშემდგომი განათლების (მაგისტრატურა/დოქტორანტურა) სტიპენდიის კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ დამთავრებული სულ მცირე 4 წლიანი უნივერსიტეტი. განაცხადის გაკეთებისას არ უნდა იყოს 40 წელზე მეტი ასაკის.

4. მაძიებლის სტიპენდიანტს უნდა ჰქონდეს დამთავრებული სულ მცირე 4 წლიანი უნივერსიტეტი და კარგად უნდა ფლობდეს თურქულ, ინგლისურს ან ფრანგულ ენებს.

5. თურქული ენის საზაფხულო კურსებზე განაცხადი შეიძლება შეიტანონ კანდიდატებმა, რომლებიც არიან უნივერსიტეტის სტუდენტები ან უნივერსიტეტდამთავრებულები.

6. <u>არ უნდა იყოს</u> სწავლისთვის ხელისშემშლელი დაავადებით დაავადებული და გადამდები დაავადების მატარებელი (შიდსი, ჰეპატიტი C და ა.შ.)

## III. დოკუმენტები, რომლებიც უნდა წარმოადგინონ კანდიდატებმა

1. **ბაკალავრიატი:** დიპლომი, ნიშნების ფურცელი, ჯანმრთელობის ცნობა, TÖMER -ის თურქული ენის დიპლომი (თუ აქვს)

2. **დიპლომშემდგომი განათლება (მაგისტრატურა/დოქტორანტურა):** დიპლომი, ნიშნების ფურცელი, ჯანმრთელობის ცნობა, რეკომენდაცია/დასტურის წერილი (თუ აქვს), TÖMER -ის თურქული ენის დიპლომი (თუ აქვს)

3. **მაძიებელი:** დიპლომი, ნიშნების ფურცელი, ჯანმრთელობის ცნობა, რეკომენდაცია/დასტურის წერილი (თუ აქვს), ავტობიოგრაფია (CV)

4. **თურქული ენის საზაფხულო კურსები:** დიპლომი/ცნობა უნივერსიტეტიდან, ჯანმრთელობის ცნობა.

**სტიპენდიის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ნათარგმნი თურქულ ენაზე.**

## IV. დანართი

<u>შერჩევის ფორმა:</u>

1. შერჩევის ფორმა უნდა შეივსოს იმ სტიპენდიის კანდიდატების მიერ, რომლებიც ფლობენ TÖMER-ის თურქული ენის დიპლომს, დამთავრებული აქვთ თურქეთის ლიცეუმი, დამთავრებული აქვთ უცხოეთის უნივერსიტეტის თურქოლოგიის, თურქული ენისა და ლიტერატურის და ა.შ. განყოფილებები და ასევე განაცხადს აკეთებენ მაძიებლისა და თურქული ენის საზაფხულო კურსებისათვის.
2. სტიპენდიის ყველა სხვა კანდიდატმა არ უნდა შეავსოს შერჩევის ფორმა. ამ ფორმას ისინი შეავსებენ თურქეთში TÖMER–ში თურქული ენის სწავლებისას.

# 2011 წელს მთავრობის სტიპენდიანტ სტუდენტებზე გასაცემი სტიპენდია

| № | გადახდის ფორმა | 2010 წელს რაოდენობა (თურქული ლირა) | 2011 წელს რაოდენობა (თურქული ლირა) | ზრდა |
|---|---|---|---|---|
| 1 | მოსამზადებელი(ყოველთვიური სტიპენდია) | 270 | 325 | %20 |
| 2 | ბაკალავრიატი (ყოველთვიური სტიპენდია) | 270 | 325 | %20 |
| 3 | მაგისტრატურა (ყოველთვიური სტიპენდია) | 340 | 450 | %32 |
| 4 | დოქტორანტურა(ყოველთვიური სტიპენდია) | 400 | 550 | %37 |
| 5 | საზაფხულო კურსები (ყოველთვიური სტიპენდია) | 220 | 325 | %47 |
| 6 | მასტებლები (ყოველთვიური სტიპენდია) | 270 | 325 | %20 |
| 7 | დროებითი მფარველობის ქვეშ მყოფი სტუდენტები (ყოველთვიური სტიპენდია) | 180 | 250 | %38 |
| 8 | დახმარება წიგნებსა და საკანცელარიო საქონელზე. (მოსამზადებლის, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს მიეცემათ ხელზე, წელიწადში მხოლოდ ერთხელ) | 180 | 200 | %11 |
| 9 | დროებითი ბინადრობის მოწმობა (1 წელი) | 139 | 149 | - |
| 10 | თემის ხარჯები (მაგისტრატურა და დოქტორანტურის მოსწავლეებისათვის წლიურად) | 140 | 150 | %7 |